ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

ო ქ მ ი N9

სხდომის ჩატარების დრო:

28 ნოემბერი 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი N3.

ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობაში არსებული სხდომის დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი მაგდა კოსტავა.

ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები: მაგდა კოსტავა, ირაკლი შენგელია ,მამუკა რიჟამაძე,მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, ხათუნა არველაძე, თამარ დახუნდარიძე, ქეთევან ციბაძე, მაია ყუფარაძე, ნოდარ ჯიქია, ია მაჩიტიძე, თინათინ ბერიშვილი, გიზო ბანძელაძე, მირანდა ხეცურიანი, გრიგოლ შუშანია.

სულ : 30 წევრიდან- 17 წევრი.

არ ესწრებოდნენ: თეა ჯუღელი,ელეონორა არჩაია,ნინო ჩიკვაშვილი,ქეთევან ხურციძე,მაკა ცერცვაძე, ნანა რობაქიძე,ლანა თოთაძე, ლარისა შენგელია,მერი გელაშვილი,ასმათ ჟანგავაძე,თინათინ გელხვიიძე,მაკა აბულაძე,ბელა მშვილდაძე.

სულ: 13 წევრი

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ქალბატონმა მაგდა კოსტავამ : „მოგესალმებით მეგობრებო, დღეს ჩვენ განვიხილავთ გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს.“

მოისმინეს : **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის**

გენდერული თანასწორობის საბჭოს

N9 - სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა ცვლილება
2. 16 დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ , განსახორციელებელი ღონისძიებების მიმოხილვა
3. ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული აქტივობების განხილვა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა მაგდა კოსტავამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს N 9 - სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებთ გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, მაგდა კოსტავა : „მოგახსენებთ რომ , ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დატოვებასთან დაკავშირებით მოგვმართა ბატონმა გრიგოლ შუშანიამ, შემოგვთავაზა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ნინო ბიბილეიშვილის კანდიდატურა. აღნიშნულთან დაკავშირებით გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი, მე მინდა ბატონ გრიგოლს მადლობა გადავუხადო საბჭოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და ვუსურვებ წარმატებებს“.

გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

შეტანილ იქნას ცვლილება : „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა რაოდენობისა და პერსონალური შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2022 წლის 26 აპრილის №103 ბრძანებაში .

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, მაგდა კოსტავა : „მოგახსენებთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხის შესახებ , 16 დღიანი გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილი გვაქვს აქტივობები რომლებსაც გაგაცნობთ და გთხოვთ , აღნიშნულ აქტივობებთან დაკავშირებით გამოთქვათ თქვენი მოსაზრება ‘’.

16 დღიანი გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილი აქტივობები:

- ✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით დამზადდება პოსტერები რომლებზეც დატანილი იქნება ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაცია.

- ✓ ცნობიერების ამაღლების მიზნით გაიმართება შეხვედრა, სააქციო საზოგადოება სამკერვალო „იმერში" დასაქმებულ თანამშრომლებთან, მათ მიეწოდებათ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ , ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში თითოეული მოქალაქის ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.

- ✓ შეხვედრა გაიმართება ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებულ თორმეტი ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლებთან, რომლებსაც უშუალო შეხება აქვთ მოქალაქეებთან. მიეწოდებათ ინფორმაცია ძალადობის ფორმებისა და ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ . სახალხო დამცველის წარმომადგენელი და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენელი, ისაუბრებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს გადაეცემათ სპეციალური პოსტერები, რომლებიც განთავსდება ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია, ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ. შეხვედრის მონაწილეები მიიღებენ დაწვრილებითი ინფორმაცია, ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებული , სახელწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს

სტრუქტურული ერთეულის ,ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კრიზისული ცენტრის ფუნქციონირების შესახებ.

- ✓ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან. განხილული იქნება სახალხო დამცველის აპარატის მანდატი და მათ პრაქტიკაში არსებული სხვადასხვა შემთხვევები . აქცენტები გაკეთდება საჯარო მოხელეთა მნიშვნელოვან როლზე , ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის მოქალაქეებისთვის გაზიარების მიზნით .

- ✓ შეხვედრა გაიმართება ქუთაისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ მეჩეველთა საბჭოსთან .ახალგაზრდების წინაშე მოხსენებით წარსდგებიან იურიდიული დახმარების სამსახურის /Legal Aid Service ქუთაისის ბიუროს ხელმძღვანელი და საქართველოს ახლაგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ხელნძღვანელი. შეხედრაზე ყურადღება გამახვილდება ახალგაზრდების მნიშვნელოვან როლზე გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ.

- ✓ გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და მეთოდისტებთან. შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდება ბაღის პედაგოგების მნიშვნელოვან როლზე ძალადობის წინააღმდეგ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში მოქმედ 37 ბაღის ხელმძღვანელს გადაეცმა პოსტერი როლზეც დატანილია ძალადობის წინააღმდეგ არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაცია.

- ✓ დაგეგმილია მერიის სამსახურის ხელმძღვანელების და სამსახურში ბიუჯეტის პროექტზე მომუშავე პირებისთვის ტრეინინგი : **„გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება".**

ტრეინინგის ფარგლებში განხილული იქნება:

- გენდერული ბიუჯეტირების მნიშვნელობა და გენდერული საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში;

- გენდერული ბიჯეტირების სამართლებრივი საფუძვლები;

- პროგრამული ბიუჯეტირებისა და გენდერული ბიუჯეტირების კავშირი;

- გენდერული ბიუჯეტირების ინსტრუმენტები;

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანების დირექტორის წარმომადგენელი , ქალბატონი ია მაჩიტიძე : მოგესალმებით , საბჭოს ვუსურვებ წარმატებულ საქმიანობას , ჩამოთვლილ აქტივობებში დაგეგმილი არის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა , ეს ძალიან კარგი აქტივობა იქნება რადგან , სწორედ სააღმზრდელო დაწესებულებებში არის დასაქმებული ქალბატონები და ასევე მათ შეხება აქვთ ოჯახებთან ,რომლებიც შეიძლება იყვნენ პოტენციური ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

განხორციელებულ იქნას , 16 დღიანი გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ დაგეგმილი აქტივობები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, მაგდა კოსტავა : „მოგახსენებთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხის შესახებ , ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული გვაქვს , შშმ პირთათვის ადაპტირებული გინეკოლოგიური სავარძლის შეძენა და მეოთხე პოლიკლინიკისათვის გადაცემა , აღნიშნულთან დაკავშირებით გახლდით გარემოს დასათვალიერებლად და მინდა გითხრათ რომ აღნიშნულ პოლიკლინიკაში ამ ეტაპზე არ არი შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო. 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სარემონტო სამუშაოები და სრული რეაბილიტაცია , ვფიქრობ რომ დავიწყოთ სავარძლის შეძენისთვის საჭირო სამუშაოები და რეაბილიტაციის შემდგომ გადავცეთ რეაბილიტირებულ მეოთხე პოლიკლინიკას , ეს არის ჩემი მოსაზრება მაგრამ , ასევე შეგვიძლია განვიხილოთ სხვა ვარიანტიც “.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე , ქალბატონი თეკლა დახუნდარიძე : „მოგესალმებით , ჩემი აზრით სხვა მუნიციპალური პოლიკლინიკის მოძიების ნაცვლად უმჯობესი იქნება, დაველოდოთ მეოთხე პოლიკლინიკის რეაბილიტაციას და აღნიშნულ შენობაში განთავსდეს სავარძელი“.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

სავარძლის შეძენისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელება და რეაბილიტაციის შემდგომ , მეოთხე პოლიკლინიკისთვის გადაცემა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი , ქალბატონი მაია სიმონიძე : მოგესალმებით, მინდა შევეხო ქალებისათვის მნიშვნელოვან საკითხს, ეს არის საბავშვო ბაღებში სამუშაო პერიოდის გახანგრძლივებას, მორიგეობის ფორმატით . აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია რადგან , დასაქმებული ქალბატონებისთვის მოხდეს ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მოხდეს აღნიშნული საკითხის, გენდერული თანასწორობის საბჭოს რეკომენდაციად ჩამოყალიბება და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან გაგზავნა.

ამით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მეცხრე სხდომამ მუშაობა დაასრულა .

თანამდებობა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
გენდერული საბჭოს თავმჯდომარე

მ. კოსტავა
მაგდა კოსტავა

ოქმი შედგენილია ... ქალაქ ქუთაისის გენდერული თანასწორობის საკითხების მოწვეული სპეციალისტის ნინო გოლეთიანის მიერ.